ოქტომბერი 2017 [NO.8]
WWW.BDO.GE

საგადასახადო სიახლეები

წარმომადგენლობითი ხარჯის დაბეგვრა მოგების გადასახადით



საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 24 ოქტომბრის N382 ბრძანებით ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანებაში.

ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშების მე-6 მაგალითს. აღნიშნული მაგალითი განმარტავს ნორმის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯის მოგების გადასახადით დაბეგვრას გადასახადის გადამხდელის საქმიანობის პირველ წელს.

ცვლილებამდელი რედაქციით, თუ წლის განმავლობაში გადასახადის გადამხდელის მიერ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი გადააჭარბებდა საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ ზღვრულ ოდენობას, კომპანიას ეს სხვაობა უნდა დაებეგრა იმ თვის დეკლარაციით, რომელ თვეშიც ექნებოდა ადგილი გადაჭარბებას. წარმომადგენლობითი ხარჯის ზღვრული ოდენობის განსაზღვრა ხდება წლიური მონაცემის გამოყენებით. აქედან გამომდინარე, წლის დასრულების შემდეგ, დეკლარირებული მონაცემი შესაძლოა შეცვლილიყო. ამ შემთხვევაში მაგალითი ითვალისწინებდა დეკლარირებული მონაცემის კორექტირებას, კორექტირებული დეკლარაციის წარდგენის გზით.

ცვლილების შედეგად შეიცვალა მიდგომა და ჩაიწერა, რომ რადგან გადასახადის გადამხდელი წლის ბოლომდე ვერ განსაზღვრავს წარმომადგენლობითი ხარჯის ზღვრულ ოდენობას და არ ეცოდინებოდა რომელ თვეში გადააჭარბა აღნიშნულ ზღვარს, მოგების გადასახადით დაბეგვრის ვალდებულება წარმოეშობა დეკემბრის თვის საანგარიშო პერიოდში.

ცვლილების მოქმედება ვრცელდება 2017 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე და ძალაშია 2017 წლის 25 ოქტომბრიდან.

ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია მნიშვნელოვანი საკანონმდებლო სიახლეები და ცვლილებები საგადასახადო კოდექსში, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პროფესიონალებს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად.

მიხეილ ენუქიძე
menukidze@bdo.ge

▶ წაიკითხეთ მეტი **www.bdo.ge**

ეს პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ შპს „ბიდიოს“ პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად. შპს „ბიდიო“, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

შპს ბიდიო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – “ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის” წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

ბიდიო არის საერთო სავაჭრო სახელი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.